



# მწყამისი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსჲან კეთილმან სული თვისი დაჰსდეს ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
 შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სინარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
 შოველით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 11

1883—1905

15 ივნისი

## სამართველოს ეკლესია და სამღვდლოება უწინ და ესლა.

დღეს ქართველი ერი საზოგადოდ და საქართველოს სამღვდლოება კერძოდ დიდს საგონებელშია ჩავარდნილი; დიდს გაჭირვებისა გამო ღრმად ჩაფიქრებულია—წინანდელებრ შეცთობა არა ჩაიღინოს რა და სამოთხის მონატრემ თავი კვლავ ჯოჯოხეთში არ ამოჰყოს. დღეს ყველა ჩვენგანი იმის ცდაშია, რომ გამოიძიოს-გამოიკვლიოს თუ ოდესმე ქართველთათვის სათაყვანებელი და დიდად თავმოაწონი საქართველოს სამღვდლოება დღეს საგიობელ-ავად სახსენებელი რათ შეიქნა? ამ სამწუხარო გარემოებაში მყოფი სამღვდლოება კიდევ ნუგეშობს, რომ დღეს ქართველ ერს თვალი და ყური მისკენ მიუპყრია და სულ განაბული ელოდება მისს ძველებურს აღმაფრთოვანებელ თაოსნობასა. კარგათ

მოგვხსენებათ ყველას, რომ უკუღმართმა ეამთაბრუნვამ კარგა ხანია ჩვენი ეროვნების სასიცოცხლო მაჯისცემა შეაყენ-შეაფერხა. წარსულის საუკუნას დამდეგს აქეთ ქართველი ერი, არ იქნა, დღემდე ვერ შეეთვისა უცხო ცხოვრების კანონებსა, ვერ შეისისხლხორცა იგინი. წარსულმა საუკუნემ რომ ჩვენს საერო ცხოვრებაზედ ზედ გამოქრილი კანონები და სამართალი შინიდგან გარეთ განდევნა, მათ მაგიერი გამოსადეგი რამ არა მოგვეცა-რა და, პირიქით, შინაური ყრმათა აღზრდისა და სამამულდელულო და სხვა საქმეები ერთიანად აგვიწეწა და აგვირივ-დაგვირივა. ამიტომ ქართველი ერი დღემდე ორცეცხლს შუაა: ძველი ეროვნული წესწყობილება ვერ დაუვიწყნია და თავზედ ძალათ მოხვეული უცხო წესები ვერ შეუთვისებია. აი, ამისთანა გასაჭირში მყოფი ქართველი ერი ელოდება დღე-დღეზედ სამღვდლოების რიხიან ხმასა, სიმართლისაჟვის ხმის




ამაღლებას. რა თქმა უნდა, სამღვდელოებას რომ დღემდეც ამოელო ხმა დაკარგულის სახელის აღდგენისათვის, ძალიან კარგს იზამდა, მაგრამ პირი თევზივით წყლითა ჰქონდა დღემდე სავსე და ბევრის სათქმელიდგან ცოტაოდენის თქმასაც ვერ ახერხებდა. მადლობა ღმერთსა, ზოგი პირი მარგებელიაო, იმისი არ იყვეს, დღეს ყველა ძალათ დამუნჯებულს ენა აეხსნა, პირში ამოდებული ლაგამი წაეყარა. ვინ არ იცის ჩვენის ეკლესიის და სამღვდელოების საქმეთა უკუღმა დატრიალება, მიწასთან გასწორება დღეს? მაგრამ საქართველოს სამღვდელოება უწინ სწორეთ საერთო გაჭირვებაში იჩენდა ხოლმე დიადს უნარსა და, მტრისაგან წელში მოხრილს ერს, საარსებო მოქმედებისათვის ფეხზე დააყენებდა. თუ წარსულ საუკუნეში ჩვენმა სამღვდელოებამ ვეღარ შეიძლო გაჭირვებაში თავისი უნარი გამოეჩინა ხოლმე, მაგისი ბრალი მარტო სამღვდელოებას ვერ დაედება. ამ ოციოდე წლის წინად ერთს რუსულ გაზეთში (გვგონებ „Современ. известія“-ში) ვიღაც მაღლიანი სწერდა— „სზარსთა, სრბთა, სეფუკათა, მონგოლთა, ოსმალ-სეკათა და სხ. მტარვალთამ იმდენი არ ავნო საქართველოს ეკლესიასა და ქართველს ერსა, რამდენიც სხვა მტრებმა“. ოღონდაც! წინეთ საქართველოს ეკლესიასა და სამღვდელოებას თავი ხელთა ჰქონდა: 488—1811 წ.წ. განმავლობაში საკუთარი კათალიკოზი ეჯდა, ორმოცამდე მღვდელთმთავარი, მრავალი აყვავებული მონასტერ-ტაძრები ჰქონდა. იმ დროს სამღვდელოება განაგებდა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებასა და სულიერ საზრდოს უხვად აწვდიდა თავის სამწყსოს. საუკუნეთა განმავლობაში სამღვდელოების გავლენა დიდად განმტკიცდა და შეესისხლხორცა მთელ ქართველ ერს. სამღვდელოება უწინ განათლებული იყო და მეფე-დიდებულნი ხშირათ ემორჩილებოდნენ და მოწიწებით ისმენდნენ მის ხმასა, მისს სიტყვასა და რჩევას მულამ გავლენა ჰქონდა. საქართველოს კათალიკოზნი და მღვდელთმთავარნი შინ ჭეშმარიტნი მწყემსნი იყვნენ და გარეთ მტერთათვის საზარელნი და მრისხანენი. ქრისტიანობის პირველი საუკუნოებიდგანვე სამღვდელოებამ იწყო საღმრთო წერილის თარგმნა, ქართველ წილათა ცხოვრების და საერო მატთანეთა აღწერა, შექმნა უმდიდრესი სასულიერო მწერალ-მწიგნობრობა, ყრმათა სასწავლო ბინადრობად გარდაქცია მონასტრები და ტაძრები, შექმნა საკუთარი სამარ-

თალი, სახუროთმოძღვრებო—სამხატვრო და სხე. ხელოვნება, შეამუშავა ფრიად შესანიშნავი სამწერალ მწიგნობრო ენა.

ჩვენის უქველესის მატთანების მწერალნი იყვნენ აბიათარ და იაკობ მღვდლები, სამოელ დიაკონი, სამოელ მთავარეპისკოპოზი, ევაგრი, მთავარი მიქელ ბერმონაზონი, ანტონ მროველი, იოანე დეკანოზი, მღვდელი იოანე საბანისძე, სტეფანე მტბევეარი, კათალიკოზები—ბასილ, არსენ, ნიკოლოზ და სხე.— მარტო შინ, საქართველოში არ გამოიჩინა თავისი უნარი სამღვდელოებამ: IV—V საუკუნიდგანვე გაიჩინა მკვიდრი ბინა იერუსალიმში, ანტიოქიაში, სინა-მთაზე, კონსტანტინებოლში, ათონის მთაზე, თესალონიკეში, ბორღალათში და სხ. აქ ყველგან მდიდარი მონასტრები გამართა, ამ მონასტრებში ასობით და ორასობით ქართველი ბერმონაზონები სცხოვრობდნენ. მათ შეადგინეს საკუთარი სამონასტრო და საეკლესიო ტიპიკონები, შეუდგნენ სხვა და სხვა ენათაგან ქართულად სასულიერო თხზულებათა თარგმნასა და წერას: ითხზებოდნენ საგალობელნი და სამშობლო კილოებზედ იმართებოდნენ; შეიმუშავეს გალობის კილოები, ზრდიდნენ ახალგაზრდა ქართველებს და ამზადებდნენ სამაგალითო მკითხველებს, მაგალობლებს, მწირველ-მლოცველებს, მქადაგებლებს, მხატვრებს და სხვა და სხ. მოღვაწეებსა. ეს დიდი საქმეები საქართველოს სამღვდელოებამ მოახერხა სწორეთ იმ გაჭირვების დროს, როცა სპარსნი, არაბნი და სელჯუკნი (V—VI საუკ.) რიგრიგით ბატონობდნენ საქართველოში, როცა საქართველოს მეფენი მთიან ადგილებში იყვნენ გამაგრებულნი და იქიდგან ჰპატრონობდნენ დაწიოკებულ საქართველოს ერსა. აი ამ დროს სამღვდელოება კარი-კარ დაიარებოდა და უკეთესის მერმისის სასოებას განუმტკიცებდა ქართველობას. მაშინდელი მონასტერ-ტაძარნი თავის გალავნებით და ციხეკოშკებით საიმედო საფარს წარმოადგენდნენ საერთო გაჭირვებაში. ხშირად თვით სამღვდელო პირნი წინ უძღოდნენ ჯვართ ხელში თავის სამწყსოს მტრებთან საბრძოლველად. სამღვდელოების მეოხებით გაერთდა პატარ-პატარა სამთავროებად დანაწილებული საქართველო.

(გაგრძელება იქნება).





### მოძღვართა კრებები საუკეთესო ფორმად სამღვდლოების ურთიერთობისა.

(რუსულიდან დასასრული\*)

მოძღვართა კრებების სარგებლობა თავის-თავად ცხადია და ყოველ ეჭვს გარეშეა. ამას გვიმტკიცებს საკმაოდ სხვა-და-სხვა ეპარქიის სამღვდლოების მაგალითიც, რომლებიც უყურებენ ასეთს კრებებს როგორც სამღვდლოების ურთიერთობის საუკეთესო საშვალეებს, დიდად სასარგებლოს მოძღვრულის მრავალ-ნაყოფიერი სამსახურისათვის. კრებებზე — თავისუფლება მსჯელობისა, მეგობრული დამოკიდებულება შეუმჩნეველად ახლოვებენ და მტკიცედ აკავშირებენ კრების წევრთ; მასთანავე, კრებებზე წევრნი შეადარებენ რა თავისს ცხოვრებას და მოქმედებას ერთმანეთის ცხოვრებასთან და მოქმედებასთან, შეიმუშავებენ მოძღვრული სამსახურის და მოქმედების ერთნაირს სახეს. განსაკუთრებით კარგ სასწავლებლად გარდაიქცევა მოძღვრული კრებები ახალგაზდა მოძღვართათვის. რომელ სამღვდლოთაგანს არ ახსოვს საკუთარი ცხოვრებიდან, მსახურების პირველ ხანებში, ის ძნელი და გამოურკვეველი მდგომარეობა, რომელშიაც იგი ჩააყენა უცოდინარობამ და გამოუცდლობამ, თუ როგორ უნდა გაეკეთებინა ესა თუ ის საქმე. ახალგაზდა მოძღვარი, მიყრუებულ სოფელში მცხოვრები, სადაც მას არ მოეზოვება რიგიანი მრჩეველი, გასაჭირის დროს შეიძლება უკანონოდაც მოიქცეს, რისთვისაც მერე პასუხის მგებელიც შეიქნება; ხოლო ასეთი უცოდინარობისა და გამოუცდლობის გამო ხშირად წარმოსდგება უთანხმოება მღვდელსა და მრევლს შორის, რომელიც გვიან მოისპობა და დიდათაც ავნებს მოძღვრის სამსახურს. ასეთს შემთხვევაში მოძღვრული კრებები დიდს დახმარებას გაგვიწევენ, თვითეული ისარგებლებს ერთმანეთის რჩევა-დარიგებით, გაიგებს რა თუ როგორ უნდა მოაწყოს საქმე მრევლთან.

გამოცდილი მოძღვრებისთვისაც საინტერესოა მოძღვრული კრებები, განვითარების გარდა, კრებებზე მსჯელობისა გამო, რომლის წყალობითაც იგინი არ ჩამოეცილებიან დროსა და საზოგადოებას, კრებებზე განსჯილი იქნებიან სხვა-და-სხვა საჭირობოროტო

და პრაქტიკული კითხვები, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ სამღვდლოებასთან. ავხსნათ ეს მაგალითებით. რომელიმე საბლალოჩინოს სამღვდლოება ყოყმანობს ეპარქიალური კრებისათვის დეპუტატების არჩევას, არჩევნების დროს ხშირად კიდევ სცდება, რაიცა შემდეგ შეცდომისა გამოირკვევა; ეს, რასაკვირველია, აიხსნება იმ გარემოებით, რომ სამღვდლოება სცხოვრობს განკერძოებულად, რის გამოც ნაკლებად იცნობს ერთმანეთს; კრებებზე კი სამღვდლოება დაახლოვებით გაიცნობს ერთიმეორეს. ამას გარდა, მოძღვართა კრებებზე გამოირკვევიან ის კითხვებიც, რომლებიც განმარტებული უნდა იქმნენ ეპარქიალურს კრებებზე; საერთოდ კი ეპარქიალურს კრებებზე უმეტეს შემთხვევაში, თუ ყოველთვის არა, დეპუტატები წამოაყენებენ არა თვითონ და არა იმ კითხვებს, რომლებიც საჭიროებით არიან გამოწვეულნი, არამედ განიხილავენ მზა მასალას, გადმოაცემულს ეპარქიალური ღ ანუ სასწავლებლის მთავრობისაგან; ამისათვისაც მსჯელობას ემჩნევა მოუმზადებლობა, უსაფუძვლოება, არა დამოუკიდებლობა; ეს და ამის მსგავსი არ იქნებოდა, უკეთეს სამღვდლოება წინათვე მოძღვრულს კრებებზე გამოარკვევდა საჭირო კითხვებს; მაშინ იგი ეპარქიალურს კრებებზე გამოცხადდებოდა უფრო მომზადებული, წამოაყენებდა მზა დასკვნებს და აღარ დაიბნეოდა მსჯელობაში, მაშინ კრებაც უფრო საერთო ეპარქიალურის ხასიათის იქნებოდა, ვიდრე ესლა; ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ მაშინ დეპუტატებიც უფრო გამჭრიახობას და თაოსნობას გამოიჩენდნენ, ვიდრე ესლა, რადგანაც აღარ იქნებოდნენ მარტო თითო-ოროლა მჭევრმეტყველები სხვა ბევრს „კრინტ ამოუღებლებთან“.

რასაკვირველია, მოძღვრის ცხოვრება დაუღვეველია აზრების გასაზიარებლად; რავდენადაც ფართოა მოძღვრის მოღვაწეობა, იმდენად მდიდარია იგი კითხვებით, რომლებიც ითხოვენ მეგობრულს განხილვასა და ახსნას. ასეთია კითხვები, მაგ. — სკოლაზე, მწვალელებზე, სექტანტებზე, მრევლთა ზედა ზნეობრივ გავლენაზე, მთვრალობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაზე, მანებელი ჩვეულებების მოსპობაზე, — ყოველივე ეს თუმცა ძველია, მაგრამ მარად დაუძველებელი და დიდად საინტერესო მოძღვრული მსჯელობისათვის. ამასთანავე, კრებებზე განიხილვებიან ეკონომიური ხასიათის კითხვებიც,

\*) იხ. „მწვემსი“ № 6—7, 1905 წ.

მაგ. რა საშუალებაა საჭირო მეურნეობის გასაუმჯობესებლად, რით გაძლიერდება მატერიალური უზრუნველყოფლობა და სხ. შეიძლება განხილულ იქნეს წმინდა ზნეობრივი ხასიათის კითხვებიც, თუ როგორი ზნეობრივი დახმარება უნდა აღმოუჩინო შენს თანამოძმეებს ცხოვრების გასაჭირში, გულითადის მონაწილეობის მიღებით მათს სულიერს მწუხარებაში, ხოლო სადაც საჭიროა, ქონებრივი დახმარებითაც. ხან-და-ხან საჭიროა ამხანაგურად იმოქმედო იმ სასულიერო პირზე, რომელიც შემთხვევით ასცდენია ქვეშაირებს გზას და მისცემს ბილწს ცხოვრებას, რითაც იგი ჩირქსა სცხებს მთელს სასულიერო წოდებას, ანუ მაგ.—იმ პირზე, რომელიც უწესოდ ექცევა ეკლესიის კრებულს და მით გარეშე პირების მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც, მაგ. მღვდელი განზრახ სცდილობს ეკლესიის კრებულის გადაკიდებას, რათა შემდეგ, როდესაც იგინი დამნაშავენი აღმოჩნდებიან მთავრობის წინაშე, უფრო ადვილად დაიმორჩილოს იგინი; რასაკვირველია, არავინ არ გაამართლებს მათს ასეთ საქციელს, მაგრამ მათზე, ხშირად გარეშე სამართალს მოკლებულებზე, ამხანაგური რჩევა დიდად იმოქმედებდა.

საერთოდ საძნელოა ყველა კითხვების ჩამოთვლა, რომლებიც ასხნაც სასარგებლო იქნებოდა მოძღვრულს კრებებზე, მაგრამ ნათქვამიდანაც ცხადად ვხედავთ, რომ მოძღვართა კრებები შეადგენენ სანატრელს მოვლენას სამღვდელოების ცხოვრებაში. მათი გამართვა იქნებოდა ეხლა სწორეთ დროს შესაფერი, რადგანაც ყველა ეხლა დარწმუნებულია, რომ შეერთებული ძალა იძლევა ნაყოფიერს და საგრძნობელს შედეგს და განსაკუთრებით ბოროტებასთან ბრძოლის დროს. რასაკვირველია, პირველად მოძღვრული კრებების საქმე არეულად წავა, მათი სარგებლობის მოწინააღმდეგენიც კი გამოჩნდებიან, მაგრამ ამით არ უნდა შეშინდენ: ასეთია ხვედრი ყოველი ახალი საქმისა, ვიდრე იგი ფესვს მაგრა არ მოიკიდებს. აწ არსებული ეპარქიალური კრებებიც ერთბაშად არ დაარსებულან, ეხლა კი იგინი ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებიან.

მოძღვრული კრებების გამართვის შესახებ, კითხვის აღძვრა შეიძლება როგორც საკუთარს შეკრებულების დროს, აგრეთვე ეპარქიალურ კრებაზედაც. კრების გამართვა შეიძლება ქალაქშიაც და

სოფელშიაც, მხოლოდ სახეში უნდა ვიქონიოთ შეკრების სიადვილე და ნივთიერი ანგარიში კრების წევრთა; თავისუფალი დრო კი ამისათვის ყოველთვის მოიძებნება, მხოლოდ საჭიროა სურვილი. კარგი იქნება, წინათვე შედგენილი იქმნეს მოსაზრებანი, კრების წესიერად წაყვანისათვის; შემდეგ კი, როდესაც საქმე კარგად მოეწყობა, შეიძლება სამკითხველოს დაარსებაც კრების მიზნის კეთილად წარმატებისათვის.

ყოველივე ეს ჩვენ აღენიშნეთ, რასაკვირველია, სქემატიურად და დაახლოვებით, ხოლო შემდეგში კი, უკედ როგორ უნდა მოეწყოს საქმე,—ამას გვიჩვენებს გამოცდილება და თვით ცხოვრება, რომელიც მასთანავე მოგვცემს კრებებზე განსახილველს მასალასაც.

მღ. სერგი მაჭარაშვილი.



**ორდინარნი პროფესორის თაგ. ტრუბეცკოვის სიტყვა, რომელიც მოახსენა მან ხელშეწყობა იმპერატორს აუღენციაზე 6 ივნისს.**

პირველი საათის ნახევარზე წარდგინენ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე რამდენიმე გრაფები, თავადები, ქალაქის მოურავები და სხვა საპატიო პირნი. ორდინარნი პროფესორმა თავადმა ტრუბეცკოიმ და პეტერბურდის ქალაქის ხმოსანმა ფედოროვმა იმპერატორს მოახსენეს შემდეგი შესანიშნავი სიტყვები:

„თქვენო უდიდებულესობავ, ნება მიბოძეთ მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას ჩვენი ღრმა და გულწრფელი მადლობა მიღებისათვის. თქვენ კარგათ გაიგეთ ის გრძნობანი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით და არ დაუჯერეთ იმათ, ვინც ჩვენ, საერო და საზოგადო მოღვაწეთ თქვენი ტახტისა და რუსეთის მოღალატეებათ გვსახვდა. აქ მოგვიყვანა ერთმა გრძნობამ—სამშობლოსადმი სიყვარულმა და თქვენდამი ჩვენის მოვალეობის შეგნებამ. ვიცით, ხელმწიფე, რომ ამჟამად თქვენ ყველაზე მომეტებულად იტანჯებით. ჩვენთვის სასიამოვნო იქნებოდა თქვენთვის ნუგეში გვეცა, მაგრამ, თუ ამის მაგიერ სხვა სიტყვებით მოგმართეთ, დაიჯერეთ,

ქვემო, რომ მოვალეობის გრძობამ გვაიძულა და საშიშ მდგომარეობის შეგნებამ. ხელმწიფევე, მთელის სახელმწიფოს მოძრაობაში ჩვენ აჯანყებას კი არ ვგულისხმობთ, რომელიც თავის-თავად ნორმალურ პირობებში საშიში არ არის, არამედ ვგულისხმობთ საერთო მოუწყობლობას და სრულს გათახსირებას, რომლის მოსპობა დღევანდელ მთავრობას არ ძალუძს. რუსეთის ხალხს პატრიოტიზმი არ დაუკარგავს, კიდევ სწამს მეფე და რუსეთის ძლევა-მოსილება, მაგრამ სწორეთ ამიტომ ვერ გაუფიასთ, ვერც ჩვენი დამარცხება და ვერც ჩვენი შინაური არეულობა. ხალხი გრძობს, რომ მოტყუებულია და ეჭვი ეპარება მეფესაც ატყუილებენო; ხოლო როცა ხალხი ხედავს, რომ მეფეს კეთილი სურს, ბოროტება კი ხდება, რომ მეფე ერთს ამბობს და სულ სხვა კი კეთდება, რომ თქვენ განზრახვებს ფრთებს უკვეცავენ და რომ მათს აღმასრულებლად ინიშნებიან რეფორმების ნამდვილი მტრები, მაშინ ხალხის იჭვირწმენად იქცევა და იზრდება. საშინელი სიტყვა „ლალატი“ უკვე გაისმა და ხალხი ეძებს მოლაღატებებს ყველგან და ყველაში: გენერლებში, თქვენს მრჩეველებში, ჩვენში და, საზოგადოდ, ყველა განათლებულებში. ხალხის ამ მდგომარეობითა და გრძობით ყველა სარგებლობს: ზოგი აქვს მას მემამულეებზე, ზოგი — მასწავლებლებზე და ერობის ექიმებზე; მცხოვრებთა ერთ ნაწილს აქვს მემორაზე. შეუბრალებელი და საშინელი მძულვარება, გამწვავებული გაჭირვებითა და მწუხარებით, შევიწროებითა და ეკონომიურის პირობებით, თან-და-თან იზრდება და მით უფრო საშიშია, რომ თავდაპირველად პატრიოტულის სახით გამოდის. აი საშინელი საფრთხე, ხელმწიფევე, რომლის მნიშვნელობა ჩვენ გავიგეთ და რომლის შესახებ თქვენის უდიდებულესობისათვის მოხსენება მოვალეობად ჩავთვალეთ. ერთადერთი გზა, რომელმაც უნდა გვიხსნას ამ საშინელ მდგომარეობიდან და რომელიც თქვენმა უდიდებულესობამაც აღნიშნა, არის — სახალხო წარმომადგენელთა მოწვევა. ყველას გვწამს ეს გზა, მაგრამ ამასთანავე ვიცით, რომ არის ისეთი წარმომადგენლობაც, რომელსაც არ შეუძლიან თქვენ კეთილ განზრახვათა ასრულება. ნამდვილმა სახალხო წარმომადგენლობამ უნდა დაამყაროს შინაური მშვიდობიანობა, შექმნას ახალი ცხოვრება, შეაერთოს მცხოვრებთა ნაწილები და, ბოლოს, უნდა გადააკე-

თოს სახელმწიფო წესწყობილება. ჩვენთვის არ დავალბებთ ვილაპარაკოთ აქ იმაზე, თუ რა რეფორმას მიიღებს მომავალი სახალხო წარმომადგენლობა ან როგორ უნდა მოხდეს არჩევნები; თუ ნებას გვიბოძებთ, ხელმწიფევე, ჩვენ შეგვიძლია მოგახსენოთ მხოლოდ ის, რაც გვაერთებს რუსების უმეტესობას: საქიროა, რომ ყველა თქვენი ქვეშევრდომნი განურჩევლად ეროვნებისა, წლოვანებისა და სარწმუნოებისა თავიანთ თავს თანასწორ მოქალაქეებად გრძობდნენ. რომ მცხოვრებთა არც ერთი ჯგუფი არ იქნას წარმომადგენლობიდან გარიცხული; საქიროა, რომ განახლებულ სახელმწიფოს შინაური მტრები არა ჰყავდეს, ამისათვის-კი საქიროა, რომ უფლება არავის არ წაერთვას ან არ შეეზღუდოს. ჩვენ გვინდა, რომ ყველა თქვენი ქვეშევრდომნი, თუნდაც სხვა მოდგმისა და სარწმუნოების იყოს, რუსეთს თავის სამშობლოდ სთვლიდეს, თქვენ-კი — თავის ხელმწიფედ; ჩვენ გვსურს, რომ ყველა არა რუსთ ისე უყვარდესთ რუსეთი, როგორც ჩვენ გვიყვარს, და რომ ყველანი რუსეთის შეილება გრძობდნენ თავს. სახალხო წარმომადგენლობამ უნდა დაამყაროს შინაური განწყობილებაში მშვიდობიანობა, ამიტომ იგი არ უნდა იქნეს წოდებრივი. როგორც რუსის მეფე არ არის მეფე მარტო თავად-აზნაურთა, გლეხთა ანუ ვაჭართა, არ არის მეფე წოდებთა, არამედ მეფეა სრულიად რუსეთისა; ისე მცხოვრებთაგან ამორჩეულმა პირებმა, რომელნიც მოწოდებულნი არიან თქვენთან ერთად იმუშაონ სახელმწიფო საქმეებზე, უნდა სამსახური გაუწიონ არა წოდებრივ, არამედ მთელი სახელმწიფოს ინტერესებს. თუ წარმომადგენელობა იქნება წოდებრივი, ის გამოიწვევს წოდებრივ გამწვავებას იქ, საცა იგი სრულებით არაა. ამას გარდა ხალხის წარმომადგენლობა უნდა ემსახუროს «სახელმწიფოს გარდაქმნის» საქმეს. ბიუროკრატია არსებობს ყველგან, ყოველსავე სახელმწიფოში ღ მისი გაკიცხვით ჩვენ ბრალს ვდებთ არა ცალკე პირთ, არამედ მთელს „ბიუროკრატიულ წესწყობილებას“. განახლებულ წესწყობილების დროს ბიუროკრატია უნდა დაიჭიროს შესაფერი ადგილი. მან-კი არ უნდა სთელოს თქვენი ხელმწიფობრივი უფლებები, არამედ ის პასუხის მგებელი უნდა იყვეს. აი საქმე, რომელსაც სამსახური უნდა გაუწიოს ამორჩეულ წარმომადგენელთა კრებამ. მას არ შეუძლიან ჩაკერებულ იქნას ბიუროკრატიულ



დაწესებულებათა ძველის სისტემის ნაფლეთთა შორის, არა, ეს კრება უნდა დამყარდეს თვით-მომქმედ და-მოუკიდებელ ნიადაგზე და იმასა და თქვენს-შორის აღარ უნდა აღიზარდოს ახალი ზღუდენი ბიუროკრატიულ დაწესებულებათა სახით. თქვენ თითონ დარწმუნდებით, ხელმწიფევე, ამაში, როცა მოიწვევთ ხალხის არჩეულებს და პირის პირ შეხვედებით მათ, ისე, როგორც ჩვენ ვდგევართ ეხლა თქვენს წინაშე. დაბოლოს თქვენ მიერ ნაბრძანები რეფორმები ისე ახლოს ეხებიან რუსეთის ხალხსა და საზოგადოებას, რომელნიც მოწოდებულნი არიან სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მისაღებათ, რომ რუსეთის ხალხს არამც თუ არ შეუძლიან, ის ვალდებულია ვულ-ხელდაკრეფილი არ უყუროს ამ რეფორმებს; ამისათვის საჭიროა, ნება გამოვიდეს, რაც შეიძლება, ვრცლად იქნას სჯა-ბაასი სახელმწიფოს განახლების შესახებ არამც თუ ამორჩეულთა პირველ კრებაზე, არამედ ეხლავე, პრესასა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში. დამღუპველი ბოლო ექნება ერთმანეთის მოწინააღმდეგე განკარგულებებს—საზოგადოებრივ ძალების სახელმწიფოს საქმეებზე სამუშაოდ მოწვევას, ერთის მხრივ, და ამასთან რეფორმების განახორციელებლად... (?) ეს ხელს შეუშლის სახელმწიფოს განახლების საქმეს. ნდობა უნდა დაედოს ქვა-კუთხედად რუსეთის აღორძინებას, ხელმწიფეო!“ ამის შემდეგ პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ნ. პ. ფედაროვმა წარმოსთქვა შემდეგი: «ნება მიბოძეთ, თქვენო უდიდებულესობავ, იმას, რაც ეხლა სთქვა თ. ტრუბეცკოიმ, დაეძინო, თუ რა აღეღვებს და აწუხებს ქალაქებს. ქალაქი და სოფელი ისე დაახლოვებულია ერთმანეთთან, რომ ყოველი გასაჭირი სოფლისა გავლენას ახდენს ქალაქის კეთილდღეობაზეც. ღარიბდება სოფელი, და ქალაქსაც ცუდად მისდის საქმე. არ შეგვიძლიან არ ვიწუხოთ მომავალზე. როგორ უნდა გადასწყვიტოთ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, ომისა და მშვიდობიანობის საქმე, ომი ხომ მაინც გათავდება ოდესმე და მაშინ საჭირო იქნება განიკურნოს მის მიერ მიყენებული კრილობები, კრილობანი ეკონომიური და ფინანსიური. ჩვენ წინ-და-წინ ვხედავთ, რომ ჩვენს ბიუჯეტს ამისთვის რამდენიმე მილიონი უნდა მოემატოს წელაწადში. რომ ვიშოვნოთ ეს მილიონები, რომ ვიპოვოთ წყაროები ამ ხარჯების დასაფარავად, ამისათვის საჭიროა შევუდგეთ დიდს კულტურულს

მუშაობას, უნდა ვიზრუნოთ გაძლიერებულ იქნას ჩვენის ქვეყნის მწარმოებელი ძალები, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მოწოდებულ იქნებიან სამშობლოს ცხოვრების სათავეში ჩასაყენებლად ხალხის ნიჭიერი ნაწილი, ტალანტები ხალხის მიერ აღზრდილნი, როცა საზოგადოებას საშუალება მიეცემა მისცეს თავის მოქმედებას ფართო და და-მოუკიდებელი ასპარეზი. თქვენს უდიდებულესობას ჰყავს, მართალია, ნიჭიერი კაცები, მაგრამ მცირეა მათი რიცხვი და ამას გარდა, ისინი მხოლოდ თავიანთ კაბინეტებიდანა და კანცელარიებიდან ადევნებენ თვალს ხალხის საქიროებას და მისს მოთხოვნილებებს, მაშინ როცა მომავალი საქმე ითხოვს ისეთ პირებს, რომელნიც ცხოვრებას სათავეში უნდა მოექცნენ. აი რისთვის უერთდებიან ქალაქებიც ერობებს, რომელთა აზრები გადმოგვცა წელან აქ თავადმა ტრუბეცკოიმ“.



**თბილისის ქალაქის საბჭოს მოხსენება.**

ქ. თბილისის მოურავმა ბ.ნმა ვერმიშევა კავკასიის ნამესტნიკთან წარსადგენად მოხსენება დასწერა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფო წესწყობილება რუსეთში.

ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ წინად შემოდებული რეფორმები სამოციან წლებს შემდეგ თანდათან იკვეცებოდა, და, სამაგიეროდ, მეტ ძალას, მეტ უფლებას ანიჭებდნენ ადგილობრივ ადმინისტრაციას. ამნაირ მიმართულებას თუ ის მიზანი ჰქონდა, რომ მშვიდობიანობა და წესიერება აღედგინა კავკასიაში, სადაც ამას ხელს უშლიდნენ თითქო „მავენე ელემენტები“, ახლა უნდა აღიაროს გამოტეხილი ადამიანმა, რომ ამ პოლიტიკამ მიზანს ვერ მიახწია სრულებით.

კავკასიაში ძარცვა-გლეჯა გახშირდა, გახშირდა მკვლელობაც, მუშათა მოძრაობა დაიწყო, მსგლებთა მოძრაობა მოჰყვა, სისხლის ღვრაც ბაქოში, —ყოველმანვე ამან აშკარად დაამტკიცა, რომ ეს «ძლიერი» ადმინისტრაცია უძლური გამოდგა მშვიდობიანობის, კანონიერების დამყარების საქმეში. ამიტომ საჭირო არის უთუოდ გაარკვიოს ადამიანმა საერთო მდელვარების მიზეზი და გაითვალისწინოს,

თუ რა რეფორმებია ადგილობრივ წესიერების აღდგენად საჭირო.

მთელი საეროობა საქმეები კავკასიაში სახელმწიფო მოხელეთა ხელშია გადასული; ამ მოხელეებმა არ იციან ადგილობრივი ენები, ხალხის ზნე-ჩვეულება იმათთვის უცხოა. ადგილობრივ ადმინისტრაციაში განსაკუთრებით სამხედრო სამსახურის პირებს იღებენ. ამ ადმინისტრაციამ ადგილობრივ საქიროებათა დაკმაყოფილება ვერ შესძლო. საეროობა ფული ადმინისტრაციის შეხედულებით იხარჯება, ხალხის დაუკითხავად. ამას უნდა დაუმატოთ ის არემოება, რომ ადგილობრივი მოხელეები ხშირად ავად ხმარობდნენ თავიანთ უფლებებს, რაიც დამტკიცდა აშკარად სასამართლოში. ყოველივე ეს აშკარად ხდის იმას, თუ რა მდგომარეობაში არის ჩავარდნილი ადგილობრივი ხალხი კავკასიაში. ადგილობრივ საქიროებას არ აკმაყოფილებდა არავინ. ხალხის ჩივილს ყურადღებას არ აქცევს არავინ. და ყოველისავე პროტესტის გამოცხადებაზე ადმინისტრაცია მხოლოდ მეტის სიმკაცრით ეკიდება ხალხს, ამ პროტესტს აჯანყებას ეძახის.

ადმინისტრაციის აუარებელმა შეცდომებმა იქამდე მიიყვანა ადგილობრივი მცხოვრებლები, რომ მათ არამც თუ ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს იმასთან, არამედ მთავრობისაგან დანიშნული პირები სრულიად გადააყენეს სამსახურიდან და დააწესეს არალეგალური მმართველობა, დამყარებული წარმომადგენლობით პრინციპებზე. ყველა ეს ჩვენ გვასწავლის იმას, რომ ჩვენ უნდა მივყვეთ იმ გზას, რომელიც ამოიჩინეს თავის საქიროების დასაკმაყოფილებლად ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ადგილობრივ ადმინისტრაციულ მმართველობის მაგიერ, რომელიც ვერ ურიგდება მცხოვრებლებს, — უნდა მოწვეულ იქნას ამათი ყველა ძალები, წოდებისა და ქონების განურჩევლად, თვითმმართველობის ისეთს ფორმაში, რომელშიაც შესაძლებელი გახდება ლეგალური მოქმედება და შემოქმედებითი მუშაობა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ამისთანა ფორმად ავტორს მიაჩნია საეროობა, უწოდებრივო ორგანიზაციები.

საეროობა და სამოქალაქო თვითმმართველობასთან ერთად, კავკასია საქიროებს ცენტრალურ ორგანოს იმისთანა კითხვების გადასაწყვეტად, რომელიც ეხება მხოლოდ კავკასიას, და არა მთელ რუსეთის

სახელმწიფოს. ეს განსაკუთრებული კითხვები დაჰბადა იმ ტოპოგრაფიულმა, ეკონომიურმა, კლიმატიურმა და ეთნოგრაფიულმა პირობებმა, რომლებითაც განსხვავდება კავკასია რუსეთის დანარჩენ ნაწილებისაგან. ამისთანა პირობათა შორის წარმოშობილ განსაკუთრებულ კითხვების ერთის კანონით გადაწყვეტა ყოველად შეუძლებელია. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ ერთს საერთო კანონთან ერთად არსებობდეს ისეთი ადგილობრივი კანონები, რომლებიც არ დაარღვევს სახელმწიფო ცხოვრების მთლიანობას, მაგრამ ამასთანავე დააკმაყოფილებენ ადგილობრივ მცხოვრებთა საქიროებებს. შემუშავება ამ იურიდიულ წარმოებისა უნდა მიენდოს, რასაკვირველია, ადგილობრივ სახალხო წარმომადგენლობას, რომელიც, აღჭურვილი ცოდნითა და ავტორიტეტით, სავესებით შეასრულებს თავის დანიშნულებას. ამ მოსაზრებას უნდა დაუმატოთ კიდევ ერთი, მეტად დიდმნიშვნელოვანი მოსაზრება: განვითარება ეროვნულ ენისა და მწერლობისა მეტად დიდ ყურადღებას თხოვლობს, თუმცა მისწრაფება ეროვნულ მოთხოვნილებათა განვითარებისადმი ცოტა-ოდნად აცალკევებს სხვადასხვა ეროვნებას, მაგრამ ერთი განცალკევება, როგორც შედეგი ერთა ინდივიდუალიზაციისა, აღვიძებს ხალხის მიძინებულ ძალებს და ხელსაჰკრავს ინტენსიურ ცხოვრებისაკენ. ამასთანავე შენახვა ეროვნულ თავისუფლებისა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ერთიანობას, რომელიც დამყარებულია საერთო პოლიტიკურ ინტერესებზე.

კითხვის პრინციპიპალურად გადაწყვეტის შემდეგ, ავტორი ეხება მის პრაქტიკულ მხარეს და აღნიშნავს, რომ იქ, სადაც სხვადასხვა ეროვნებანი ძალიან არეულია, საერთო საქმეთა გადაწყვეტაში ყველა მათგანს უნდა ერთნაირი უფლება უნდა მიეცეს.

ეროვნულ თავისუფალ განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისუფლება სარწმუნოებისა.

ძალიან აფერხებს კავკასიის განვითარებას აგრედვე ცუდად დაყენებული მართლ-მსაჯულება. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაცია გაძლიერებულია, რომ მცხოვრებლები საეროობა დარაჯის შესანახად იხდის 3 მილიონ მანათს, პირადი და ქონების ხელშეუხებლობა მაინც საშინელ განსაცდელ-

შია ჩავარდნილი. ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ სასამართლომ კავკასიაში დაჰკარგა თავისი ძალა და ავტორიტეტი და ხალხი თვითონ შეუდგა გასამართლებას. მხოლოდ მკიდრო კავშირს სასამართლოსა და მცხოვრებლებს შუა შეუძლიან დაუბრუნოს პირველს თავისი მნიშვნელობა. ამისათვის კი არსებობს მხოლოდ ერთი გზა—გაფართოვება ადგილობრივ სასოფლო სასამართლოების კომპეტენციისა და შემოღება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისა.

ამასთან ერთად უნდა გამარტივდეს და გაიადვილდეს თვით პროცედურა გასამართლებისა.

ავტორი ეხება აგრეთვე მუშათა და გლეხთა საკითხებს. მუშათა კითხვაში, ერთის მხრივ, ნათლად სჩანს გამწვავებული ეკონომიური ბრძოლა შრომისა და კაპიტალს შუა, მეორე მხრივ—უქონლობა ისეთის ორგანიზაციებისა, რომლების წყალობითაც შესაძლებელი იქნებოდა ბრძოლის კანონიერს ნიადაგზე დამყარება და მისი კანონიერი დაბოლოვება. სწორედ აქედან მომდინარეობს ის აუარებელი და მხეცური ფორმები, რომლებშიაც იხატება ხშირად ეს ბრძოლა. ამ ანორმალურ მოვლენებს ბოლო მოეღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მშრომელ კლასს შეეკავშირებისა და სინდიკატების ნება მიეცემა, როდესაც დაკანონდება გაფიცვა, როგორც კაპიტალთან ბრძოლის საშუალება. რაც შეეხება გლეხთა კითხვას, აქ საჭიროა უმაღლეს ძალის დახმარება.

გლეხთა მოძრაობის მიზეზს ავტორი ხედავს მიწის სიცოტავესა და იმ მძიმე პირობებში, რომელიც თან ახლავს კერძო მიწების ხმარებას. უკმაყოფილების მიზეზად ჰხდება აგრეთვე აუარებელი ხარკები, საერობო გადასახადები, რომლებიც იხარჯება სრულიად უნაყოფოდ საერობო დარაჯთა შესანახად, და სრული გაბატონება სოფლის ცხოვრებაში ადმინისტრაციისა.

აღნიშნავს რა თვითმართველობის ძირითად პრინციპებს, ავტორი დასძენს, რომ ყველა ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამყარდება პირადი და ქონებრივი სრული ხელშეუხებლობა, თავისუფლება შეკრებისა, თავისუფლება სიტყვისა და ბეჭდვისა. აქ აღნიშნულ რეფორმებს წინ უნდა უძღოდეს გაუქმება გაძლიერებულ დაცვისა და სრული ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეთა. თუ ამ მოსამზადებელ მუშაობისთვის

მოწვეული იქნებიან ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელი, ვიმედოვნებთ, რომ კავკასიის მცხოვრებნი მალე გამოარკვევენ იმ პრაქტიკულ დეტალებს, რომლებიც წამოაყენა ცხოვრებამ და რომლების გადაწყვეტაც დააყენებს მას მშვიდობიან და კულტურულ განვითარების გზაზე. ამრიგად, აუცილებლად საჭიროა, რომ მთელი სისტემა სახელმწიფო მმართველობისა ძირშივე შეიცვალოს დამფუძნებელ კრებაში მოწვეულ სახალხო წარმომადგენლებისაგან, რისთვისაც საჭიროა:

1) სრულიად-რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევა, წარმომადგენელთა არჩევა ამ კრებისთვის პირდაპირ და საიდუმლო კენჭის ყრით, წოდებისა, ქონებისა და სქესის განურჩევლად.

2) გაძლიერებულ დაცვისა და საომარ წესების მოსპობა და საერობო დარაჯების (სტრაენიკების) მოსპობა.

3) ადგილობრივი ყოველ ეროვნების მკვიდრი ხალხი უნდა იღებდეს მონაწილეობას წარმომადგენლობაში თავის რაოდენობის დაგვარად. საამისოდ ცალკე საარჩევნო ოლქები უნდა იყოს მოწყობილი.

4) საზოგადო უფლებბრივ პირობათა შემოღება: პრესის, სიტყვის, კრების, ყრილობის, გაფიცვის თავისუფლება, მთავრობის ნება-დაურთველად ყოველ გვარ საქველმოქმედო და განმანათლებელ დაწესებულებათა გახსნა, სასწავლებლებში სწავლება დედაენაზე, პიროვნების, სადგომის ხელუხლებლობა, მოხელეთა პასუხისმგებლობა სასამართლოს წინაშე, საპოლიტიკო დამნაშავეთა სრული ამნისტია.

5) ადგილობრივ თვითმართველობის ორგანიზაცია ისე, რომ იგი თავისუფალი იყოს ადმინისტრაციის გავლენისაგან, საერთო უწოდებო ვოლოს სტის შემოღება, საპროვინციო და საქალაქო თვითმმართველობა და კავკასიის წარმომადგენელთა ადგილობრივი კრება, პირდაპირ, საყოველთაო, თანასწორ და საიდუმლო კენჭის ყრაზე დამყარებული; ამათ უნდა გადაეცეთ ადგილობრივ სამეურნეო საქმეების მართვა-გამგეობა და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვა.

6) არჩეულ მომრიგებელ მსაჯულები ზ ნაფიცი მსაჯულები, სასამართლოში ადგილობრივ ენების შემოღება.

7) პირველ-დაწყებითი სწავლის გადაცემა საზოგადო დაწესებულებათა ხელში. სახალხო სასწავლებლებში ადგილობრივ ენებზე სწავლება.

8) საშუალო სასწავლებლების განთავისუფლება ზედ-მეტ შვეიწროებისაგან რე მათ მართვა-წარმოებაში ხალხისაგანაც მონაწილეობის მალეა.

9) გლახთა საადგილ მამულო მდგომარეობის მოწყობა ამნაირად: ა) დროებით ვალდებულობის მოსპობა; ბ) თავისუფალ სახაზინო ადგილების მოხმარება ამ საქმისათვის და გ) კერძო მემამულეთა ადგილების შესყიდვა ხაზინის დახმარებით და ექსპროპრიაციის წესით.

10) სრულ სარწმუნოებრივ თავისუფლების შექმნა; ყოველ ეროვნებას უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლება თავისი სარწმუნოებრივი საქმეები თვითონვე განაგოს თავის ნებაზე თვითმართველობის წესით; ყველა სარწმუნოების სასულიერო უწყებებს უნდა დაუბრუნდეთ მათი კუთვნილი ქონება. („ივ.“)



### უჯამაგირო სოფლის სამღვდლოება,

მათი დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა და მმართველი ჯამაგირები.

ჩვენის საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა არც კი იცის, თუ რანაირად დაქვეითებულია ქონებრივად სოფლის უჯამაგირო სამღვდლოება, — ჩვენდა სამწუხაროდ, ჯამაგირიანმა სამღვდლოებამაც უმეტეს ნაწილად არ იცის თავის გაჭირვებული თანამოძმე უჯამაგირო სოფლის სამღვდლოების მეტად შვეიწროებული ნივთიერი მდგომარეობა; ეს იქიდან სჩანს, რომ ქუთაისში სამღვდლოების კრებაზე, რომელიც ამ წლის 16 მარტიდგან გაიხსნა, ზოგიერთი ჯამაგირიანი მამები უჯამაგირო გაჭირვებულ მღვდლებს პირზე ხელს აფარებდნენ და ეუბნებოდნენ: „ჯამაგირის შესახებ კრინტიც არ დასძრათ, კუჭხედ ლაპარაკი სირცხვილია სამღვდლოებისათვისო“. ამას გაიძახოდნენ უმეტესად ჯამაგირიანი მღვდლები...

მართალია მოთმინება ძალიან კარგი თვისებაა, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ მოთმინასაც და მოუთმენლობასაც თავთავის საკუთარი საზღვარი აქვს და როცა საზღვარს გადაცილდება, აღარც მოთმენა შეიძლება და აღარც მოუთმენლობა. ადამიანი ხომ თევზი არ არის, რომ მარტო წყლითა და ჰაერით ირჩინოს თავი

მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ის თანამდებობის პირი, ის მოხელე და ის მუშაკი სასულიეროა იგი, თუ საერო, საზოგადო მოღვაწეა იგი თუ კერძო პირი, ბევრად უფრო პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, უფრო ენერგიულად და გულმოდგინეთ ემსახურება ყოველ უწყებაში, როდესაც იგი ნივთიერად უზრუნველ ყოფილია.

ყველა სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებაში და უწყებებში მოსამსახურე პირები სთხოვენ მთავრობას, რომ ივინი უზრუნველ-ყოფილი გახადონ ჯამაგირებით და თუ არა, გულ არეკილი გაუბრძან, სტოვებენ ერთს უწყების სამსახურს და სხვა სამსახურს ჰკიდებენ ხელს და ულუკმა-პუროთ არ რჩებიან მაინც და მით უმეტეს ჩვენი უჯამაგირო სამღვდლოება უფრო არ უნდა თხოვილობდეს ჯამაგირებს და თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას?

თითოეულმა ჩვენგანმა კარგათ იცის, რომ მცირე სამრევლოის ეკლესიის კრებულს ჯამაგირი აქვს დანიშნული და დიდი სამრევლოები კი უჯამაგიროთ არიან, ასეც უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ დღემდის მცირე სამრევლო ეკლესიის კრებულს ჯამაგირს ვარდა სამრევლოდგან მეტად მცირე შემოსავალი ჰქონდა და დიდს სამრევლოებში კი ეკლესიის კრებულს გაცილებით მეტი შემოსავალი ჰქონდა, რითაც კმაყოფილდებოდა და მთავრობასაც ჯამაგირზე აღარ აწუხებდა. დღეს კი ორივე სამრევლოებში როგორც დიდში, ისე პატარაში დაუყოვნებლივ ჯამაგირების დანიშვნა არის საჭირო, რადგანაც ერთშიდაც და მეორეშიდაც როგორც დრამის ფულები ისე სხვა შემოსავლებიც მეტად შეამცირა ხალხმა საყოველთაო მოძრაობისა გამო და მცირე სამრევლოს კრებული, რომელსაც ცოტა შრომა და სამსახური დაევალება, იმ დანიშნული ჯამაგირით რავაც არის დიდის გაჭირვებით ცოტათი, თუ ბევრად კმაყოფილდება, ხოლო დიდი სამრევლოს ეკლესიის კრებული, რომელსაც მეტი შრომა და სამსახური მიუძღვის თავის სამწყსოში, უსასყიდლოდ და უჯამაგიროდ მსახურებს.

დღევანდელი სამღვდლოების ეკონომიური მდგომარეობა ოთხ კატეგორიით უნდა გავყოთ: პირველ კატეგორიას ეკუთვნის ის სამღვდლო პირი, რომელიც ისე დაახლოვებით სცხოვრებს თავის სამრევლოზედ, რომ შინიდან დაიარება სამსა-



ხურში, ანუ თავის სამშობლო სოფელში მსახურებს, სადაც მას აქვს თავის საკუთარი სახნავ-სათესი ადგილი-მამული, ტყე, წისქვილი, საბალახე და მოუდის ჭირნახული, რომელიც წლიურ სარჩოდაც ყოფნის და კიდევ გაყიდის ხოლმე. ამასთანავე ხაზინიდან ჯამაგირიცა აქვს ოცდა-ათ თუმანდის, ასეთ მღვდელს შეუძლია იცხოვროს გაჭირვებულად და ერთ შვილსაც შეინახავს სასწავლებელში.

მეორე კატეგორიას ეკუთვნის ისეთი მღვდლი, რომელსაც თავის სოფელში აქვს სამრევლო და იმ პირობებში, როგორც პირველ კატეგორიაში ავსწერეთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხაზინიდან ოცდა-ათი თუმანი ჯამაგირი არ ეძლევა; მღვდლის ასეთი მდგომარეობა სანატრელი არ არის, მაგრამ რაკი თავის მამულში სცხოვრობს, თუ კი ადგილ-მამულით ღარიბი არ არის, როგორც იქნება სიმშლის და სიცივეს აიშორებს თავიდან—მხოლოდ შვილს ვერ აღზრდის და ვერც არას შეიძენს ოჯახისათვის.

მესამე კატეგორიას ეკუთვნის ისეთი სამღვდლო პირი, რომელიც უცხო სოფელშია შორს განწესებული, სადაც მას არა აქვს ადგილი-მამული, არა აქვს საკუთარი სახლი და არც საეკლესიო სახლი, სდგას ნაჭირავებ სახლში წვრილი ცოლშვილით და სცხოვრებს, მხოლოდ იღებს ხაზინიდან ოცდა-ათ თუმანს წლიურ ჯამაგირად, მაგრამ ასეთი მღვდელიც დიდ გაჭირვებაშია შთაფარდნილი იმიტომ, რომ ხაზინიდან დანიშნული 30 თუმანიდან სასწავლებლების გადასახადებიც უნდა დააკმაყოფილოს, სახლიც უნდა იქირაოს, წლის-წლობამდის პურ-ღვინოც, შეშაც და საქამაღიც უნდა იყიდოს, ტანისამოსი და ფეხთ-საცმელიც უნდა ჩაიცვას და სხვა ყოველგვარი ოჯახის მოთხოვნილებაც უნდა დააკმაყოფილოს. ამასთანავე ხშირად ხვდებათ მღვდლებს და მათ ოჯახობას ავად-მყოფობა და მათი მოვლა და წამლები კიდევ სხვა არის. ერთი სიტყვით, ხაზინის ოცდა-ათი თუმანი ნახევარი წლის ხარჯათაც კი არ ყოფნის და დანარჩენს დროს კი მშვიერ-მწყურვალმა უნდა იმსახუროს ცოლ-შვილით. შვილებს ვერასოდეს ვერ აღზრდის და ვერც ვალებს აიშორებს თავიდან ისე დაღარიბდება და დაგლახაკდება.

მეოთხე კატეგორიას ეკუთვნის ისეთი მღვდელი, რომელიც განწესებულია უცხო სოფელში შორს, სადაც მას არა აქვს არავითარი სახნავ-სათესი ადგილი-

მამული, არა აქვს არც საეკლესიო ადგილი და არც საბინავო სახლი, სიშორის გამო სამრევლოს ვერა შორდება და ცოლშვილით სცხოვრებს ნაჭირავებ სახლში და ყოველიფრის მონაყიდვა, რაც-კი ადამიანს ოჯახში სჭირდება, არაფერი თავისი არა აქვს და ხაზინიდანაც ოცდა-ათი თუმანი არა აქვს დანიშნული. მივაქციოთ ყურადღება ასეთ გაჭირვებულ მღვდელს და ჩვენ ვნახავთ, რომ მას თავის ცოლშვილით შია, სწყურია, სცივა, ავით არის, დაავადმყოფებულია მოუვლელიობით, ტანისამოსი არ აცვია და არც ცოლშვილს უცმევია, ცუდის ცხოვრებით დაბეჩავებული და დაგლახავებულია, კაცი მის მდგომარეობაში არ შედის, მრევლი ეუბნება: „დღემდის გარჩინეთ, მამაო, დღეს აღარც ჩვენ შეგვიძლია და შენ თავს როგორმე უბატრონე, ჯამაგირი გამოთხოვე მთავრობას და ისე ირჩინე თავი, ჩვენგან ნურას ელიო“ და სხვა... ასეთმა მღვდელმა უნდა გადაიტანოს ყოველ-გვარი გაჭირვება და ათასნაირი ნაკლულეგანება თავის უბედურს ცხოვრებაში, ძალა-უნებურად ითმენს საცოდავი მღვდელი ყოველიფერ გაჭირვებას და მასთან უნდა მოითმინოს ის დიდი სირცხვილი, რომელიც გამოწვეული იქნება მისი გაჭირვებით.

რომ მრევლსა და მღვდელს შორის დამყარდეს მამაშვილური სიყვარული და პატივისცემა, მშვიდობა და სათნოება, აუცილებლად საჭიროა შემდეგი: 1) სამღვდლო პირებს, გაურჩევლად იმისა დიდი სამრევლო უჭირავს, თუ პატარა, აუცილებლად დაენიშნოსთ ჯამაგირები საყოველთაოდ და უზრუნველ ჰყონ სამღვდლოება ისე, რომ ხალხთან არავითარი დამოკიდებულება მღვდლებს არ ექნესთ სავალდებულოდ ფულების გადახდევინების შესახებ და თუ ვინმე თავის კეთილი ნებაყოფლობით მღვდელს რასმეს აჩუქებს, ეს მისი ნება იქნება, რადგანაც ასეთი საჩუქარი არ იქნება ძალა დატანებული, არ იქნება სავალდებულო, არამედ თავის საკუთარი სურვილით და ნებაყოფლობით. 2) სადაც კი შესაძლებელი იქნეს, ადგილობითი მწყემსმთავრის კეთილ ნებაყოფლობით და შეხედულობით სამღვდლოება გადაყვანილი იქნეს ერთი მეორის ადგილზედ შეძლებისა-გვარად ისე, რომ დაახლოებით შინიდან იმსახურონ, ან თვით თავის სამშობლო სოფლებში იქნენ განწესებული, ასეთ შემთხვევაში მღვდელიც უფრო უზრუნველ ყოფილად ჩასთვლის თავის-თავს,



რადგანაც თავის სოფელში იქნება მღვდლათ, სამრევლოც უფრო კმაყოფილი იქნება, რადგან მღვდელი მუდამ მოუცილებლად შინ ეყოლება და მასთან როგორც ადგილობრივი მცხოვრები, მღვდელიც საბინაო სახლს აღარ მოსთხოვს სამრევლოს და ამითი სამრევლოსაც საღვათი ექნება, მღვდელიც კმაყოფილი დარჩება და თვით სასულიერო მთავრობაც განთავისუფლდება იმ საჩივრებისა და თხოვნების გარეშევისაგან, რომელითაც ხშირად აწუხებენ მღვდელ-მთავარს, რომ ესა და ეს მღვდელი მრევლში არ სცხოვრობს, ჩვენ დროზედ ვერ გვემსახურებაო და სხვა ამისთანა...

3) თუ ვინცოცაა მთავრობა შესაძლებლად არა სცნობს, რომ ყველა ეპარქიების სამღვდლოებას ერთბაშად ყველას ერთად არ დაენიშნებათ ჯამაგირები, საჭირო და სასურველია, რომ რაც შეიძლება თავდაპირველად ზე საჩქაროდ დაენიშნოსთ ჯამაგირები ისეთ სამღვდლოებას, რომელნიც მეოთხე კატეგორიას ეკუთვნიან და შემდეგ კი თანდათანობით დანარჩენებსაც მიეცესთ. 4) უკეთუ რაიმე დიდის მიზეზით ახალი ჯამაგირები არ დაენიშნოსთ უჯამაგირო სამღვდლოებას, სასურველია დროებით ჩამოაკლდეს განსაზღვრული ნაწილი ჯამაგირისა პირველი კატეგორიის სამღვდლოებას და დაეხმაროს მეოთხე კატეგორიის სამღვდლოებას საყოველთაო ჯამაგირების დანიშვნამდის და თუ არც ეს შეიძლება, იმ შემთხვევაში მეოთხე კატეგორიის მღვდელს მიეცეს ხოლომე ერთეამიერი შემწეობა ეპარქიის რომელიმე შემოსავლიანი წყაროდგან(?) ზე მასთან მეოთხე კატეგორიის სამღვდლოება განთავისუფლებული იქნეს ყოველგვარი გადასახადებიდგან, თუ ეს ასე არ იქნა, მეტად ცუდია იმიტომ, რომ ერთი ეკლესიის კრებული კმაყოფილი იქნება, მეორე უკმაყოფილო და მშიერი, ერთი დაიჩაგრება და დაბეჩავდება სისაწყლით და გაჭირვებით, მეორე კი ამ დროებით ქვეყანაში ცოტათი მაინც ბედნიერი იქნება, მშრომელი ზე მუშაკი სამღვდლოება მთლად მშიერი რჩება და უშრომელი და უმუშაკო კი მძღარი იქნება. 5) ზოგიერთ შტატის ეკლესიაზედ ორი მედავითნე ერთად მსახურებენ, ერთი შტატის მოსამსახურეთ ითვლება და ცოტადენი ჯამაგირიც აქვს, მეორე კი შტატგარეშე ზე უჯამაგიროთ მსახურებს; თუმცა როგორც პირველ მედავითნეს ისე მეორესაც სამრევლოში შემოსავალი ფულებიდგან

ნაწილი ეძლეოდათ, მაგრამ დღეს რაღა მიეცემათ საცოდავებს, როდესაც შემოსავლები დაიკეტა... სასურველია, სადაც კი დაიცალოს პირველი მედავითნის ადგილი, მეორე მედავითნეს მიეცეს ყოველთვის იმდრომდის, სანამ ყველა მეორე მედავითნეებს პირველი მედავითნის ადგილები არ ჩამოურიგდებათ და შემდეგ ამისა ახალი კაცების განწესებაც შეიძლება, თორემ მარტო განათლების „ცენზს“ თუ უყურეთ ყოველთვის უპირატესობა მიეცემა, მეორე ნამსახური მედავითნეები კი ისთვეე უადგილოთ დარჩებიან. 6) ძალიან საჭიროა და სასურველი, რომ ყოველ შტატის ეკლესიას ექნეს საკუთარი სახლი კრებულისათვის, ასეთ შემთხვევაში კრებულიც უფრო განუშორებლად იმსახურებს და ხალხიც უფრო კმაყოფილი იქნება, მხოლოდ თავდაპირველად შეიძლება სამრევლოს დაეხმაროს სახლის აშენება კრებულისათვის, მაგრამ ბოლოს მათთვის მეტად სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ბევრნაირად.

ამა წლის გაზეთის „მწყემსი“-ს № 8-ში (იხი. გვერდი 13) წავიკითხეთ, რომ მღვდელს 750 მანეთი ენიშნება წლიურ ჯამაგირად და მედავითნეს 250 მანეთიო, ეს ამბავი ელვასავით მოედვა მთელს სამღვდლოებაში და იქნება ღმერთმან ქნას და ასრუდეს უწმიდესი სინოდის კანტორის შუამდგომლობა.

დიდიკაურის დვთისმშობლის ეკლესიის მღვ. ბესარიონ ვაშაძე.

**მართლ-კახეთის სამღვდლოების კრების დროს მომხდარ ინციდენტის გამო, 31 მაისს თბილისში.**

კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით 31 მაისს თბილისის სასულიერო სემენარიისთან მომხდარ ინციდენტის გამოსაძიებლად შემდგარმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნამესტნიკის განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი სტახოვიჩი და რომელშიაც მონაწილეობას იღებდა თფ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი, სამღვდლოების კრების თავმჯდომარე ბლალაჩინი ქრ. ციციქიშვილი და საქართველოს ექსარხოსის წარმომადგენელი კოლ. სოვ. ტრელინი, წარუდგინა ნამესტნიკს მოხსენება ამ შემთხვევის შესახებ.



ამ მოხსენებაში კომისია, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ სამღვდლოების კრების 31 მაისის საღამოს სხდომას მიაწყდა მრავალი კერძო საზოგადოება, რომელმაც კრებაზედ დიდი უწესოება და მღვდლმართობა გამოიწვია, რის გამოც კრების თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა სხდომის დახურვა. თავმჯდომარის გასვლის შემდეგ ერთმა კერძო პირმა, სემინარიაში ნამყოფმა, დააპირა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ დამსწრე სამღვდლოებამ არ მისცა ამის ნება და შეაჩერა. ამ შემთხვევისა გამო გამოწვეულმა ჟრიამულმა მიიქცია ყურადღება და მიიზიდა შენობაში დიდძალი გარეშე ხალხი. პოლიციელმა ტელეფონით აცნობა ეს ამბავი მე-3 ნაწილის ბოქაულს, რომელიც დაუყოვნებლივ გაჩნდა და, მამა რექტორის თხოვნის თანახმად, მივიდა მის ბინაზედ. აქ, ორის მღვდლის თანადასწრებით, მ. რექტორმა გამოუცხადა ბოქაულს ნაბიბეკოვს, რომ სხდომაზედ წრეს გადასული ხმაურობაა, მრავალი კერძო კაცი შემოდის და ყველა ეს მეტად მაფიქრებს და მაშინებს, რომ შენობას ან თითონ მე არაფერი ხიფათი შემემთხვეს, მით უმეტეს, რომ მე გავგებული მაქვს სამღვდლოების მტრული განწყობილება და განზრახვა ჩემდამი, რომ უკვე მომივიდა წერილობითი ცნობები ჩემის მოკვლისა და სემინარიის შენობის აფეთქების შესახებაო. ამის გამო მ. რექტორმა სთხოვა ბოქაულ ნაბიბეკოვს, მიეღო შესაფერი ზომები და კერძო პირები დაეთხოვნა სემინარიის შენობიდან. ამ პირთა დათხოვნის შემდეგ ბოქაულმა შენიშნა, რომ ერთი მღვდლის შეილი, ასათიანი, აძლევდა მღვდელს რევოლვერს, რომელიც წაართვა ბოქაულმა და წარუდგინა მ. რექტორს. რექტორმა სთხოვა ნაბიბეკოვს, რომ შენობისთვის თვალ-ყური ედევნებინა და დაეთხოვნა იქიდან სამღვდლოება. ამასობაში სემინარიისა და პუშკინის ბაღს შუა თავმოყრილ სამღვდლოებისა და კერძო პირთა შორის მღვდლმართობა თან-და თან უფრო ძლიერდებოდა. ამ დროს ქარვასლასთან მოკლულ იქნა პოლიციელი. ხმა გავარდა, რომ იგი მოჰკლა მღვდელმა, თუ იმისმა მხლებელმაო. სამღვდლოებასთან-კი სულ სხვა ხმა მივიდა: ვითომ სრულიად უმიზეზოდ დაექროთ იმათი ერთი თანამოდმე მღვდელი. ამ დროს მოკლული დარაჯიც გამოატარეს. რომ ხალხისთვის გზა დაეკლვიანებინათ, ბოქაულმა ნაბიბეკოვმა გამოიწვია ათი ყაზახი, რომელთაც, კომისიის აზრით,

„სტრაჟნიკებიც“ შეუერთდნენ და ყველა ესენი შეუდგნენ მათრახებით ხალხის გაფანტვას. რადგან ხალხში მღვდლებიც ერია, ზოგს იმათაც მოხვდათ მათრახები.

მოწმეების გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ მღვდლებმა თავის დასახსნელად, სარდაფებსა, ტრამვაის ვაგონებსა და რესტორანებს შეაფარეს თავი, ზოგი მათგანი ისევ სემინარიაში შებრუნდა, ამით იქ უცხო ხალხი შეჰყვა. ნაცემ მღვდლების ჩვენების ჩამორთმევით აღმოჩნდა, რომ ერთს ლოყაზედ ეტყობოდა მათრახით ნაცემი, მეორეს შლიაპა ჰქონდა დახეული და ყელზე ჭრილობა მათრახითვე; ზოგსაც ისე მოხვედროდათ მათრახები, რომ არაფერი ნიშნები არ დასტუბოდათ. ქუჩაში ერთ კაცს ბოქაულმა ორი რევოლვერი და 60 პატრონით სავსე საპატრონე წაართვა.

სემინარიის შენობის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 12 უცხო პირი, რომელთა შორისაც რამდენიმე სემინარიიდან დათხოვნილი აღმოჩნდა. რადგან მ. რექტორი დაჟინებით თხოულობდა, რომ სემინარიიდან უსათუოდ გაეყვანათ ის მღვდლებიც-კი, რომელნიც ექსარხოსის ნებართვით დამედგომით იყვნენ იქ დაბინავებულნი და სრულებით დაეცალიერებიათ შენობა, ამიტომ ბოქაულმა ღამის 11 საათზედ მიჰმართა პოლიციეისტერს, რომელიც მოვიდა ადგილობრივ საქმის მოსაწესრიგებლად. შენობაში მოდარაჯებად ყაზახები ჩააყენეს და იმ ღამეს წყნარად და მშვიდობიანად ჩაიარა.

ძნელი გამოძიებით ახსნას კაცმა დაწვლილებით იმისთანა შემთხვევა როგორც შეხვდა ქართლ-კახეთის სამღვდლოების კრებას თბილისში. მაგრამ რაც აღმოაჩინა გამოძიებამ ისიც საკმაოა, რომ ჩვენის მხრით გულითადი მწუხარება და თანაგრძნობა გამოუცხადოთ ქართლ-კახეთის სამღვდლოებას იმ შეურაცხებისათვის, რომელიც მას მიაყენეს 31 მაისს. როგორც სჩანს მამა რექტორს დიდი მზრუნველობა გამოუჩენია სემინარიის შენობის დაცვისათვის მით, რომ არ სურდა მღვდლებს ბინა ქონებოდათ სემინარიაში, თუმცა ექსარხოსიდან ნება ეძლეოდათ. მაგრამ აქ სულ სხვა განზრახვა...

რა დაუშავეთ, მაგ. მის წინა მოადგილეს, რომ 1902 წ. დ. ყვირილაში მძინარე ოჯახობას ყანდარმები და შეიარაღებული სტრაჟნიკები თავს დაგვასხა და 6 საათის განმავლობაში დაჭერილი ვიყავით მთელი ოჯახობით? ვიჩივლეთ, დაინიშნა ფიცხელი გამოძიება და რა გამოვიდა? გამოძიება თავისთვის გდია და დამნაშავეს კი უმაღლესი ხარისხი მიანიჭეს!..

ჩვენ გვაკვირვებს მამა რექტორის სიტყვა, რომელიც მოხსენებაშია: „სამღვდლოება მტრულად მიყურებს და მოკვლას მემუქრებიანო“ — ბრძანებს მ. ნიკანდრი. ამისთანა პირი დღეს



თუ ხვალ ამ სამღვდლოების ეპისკოპოსად უნდა გახდეს... ეს არის მოციქულების და მსოფლიო კრების კანონებისამებრ აღრჩევა საეპისკოპოსოდ იმისთანა პირებისა, რომელსაც სამღვდლოება და საზოგადოება უნდა ირჩევდეს? ღმერთო, უარესისაგან დაგვიფარე!..

მოწყალე ხელმწიფე იმპერატორი ჩვენზე დაშორებული იყო, მაგრამ დღეს დაახლოვებულია მისი მოადგილის დანიშვნით. მასზეა ჩვენი იმედი, რომ ამიერიდან არ ვიქნებით ისე დაჩაგრული როგორც დღემდის ვიყავით, განსაკუთრებით სამღვდლოება...

დკბ. დ. დამბაშიძე.

### შუხნალ-გაზეთებიდან.

**განტყუებული იმედი.** ჩაძირულ კრეისერ «ნახი-მოვ»-ის უფროსად ნამყოფს კაპიტან რადლოვს უთქვამს „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი-სათვის: «ბალტიის ესკადრის დამარცხება უმთავრესად აღმ. როჟესტვენსკის შეცდომის ბრალიაო. როცა ანამიდან წავედით, აღმირალმა ესკადრა სამ რაზმად გაჰყო, უკანასკნელ სამხედრო თათბირის დროს—მეც დავესწარ ამ თათბირს—როჟესტვენსკიმ გადაჭრით გამოგვიცხადა: მოხსენება მივიღე, რომ იაპონიის ფლოტი სამ ესკადრად გაყოფილი და კორეის სრუტეში ყველაზე სუსტი კრეისერების რაზმი დგასო. ჩემის აზრით, ვლადივოსტოკისაკენ გაქრა ყველაზე ადვილად ამ სრუტეთი შეგვიძლიანო. «თუ საქმე გასჭირდა,—დაუმატა აღმირალმა, ჩვენ მუდამ შეგვიძლიან ჩინეთის რომელსამე პორტში შევაფაროთ თავიო». მაგრამ აღმირალი დარწმუნებული იყო, რომ საქმე ასე ცუდად არ წავიდოდა. როცა 14 მაისს, შაბთს, დილით კორეის სრუტეში იაპონიის რამდენსამე პატარა კრეისერს შევხვდით, როჟესტვენსკი მთლად დარწმუნდა, რომ ნამდვილად სწორე ცნობა ჰქონდა მიღებული და ამ კრეისერების ჩაძირვა გადაწყვიტა. აღმირალმა სიგნალი მისცა ესკადრას: „ჩვენ არა თუ გამარჯვებული უნდა შევიდეთ ვლადივოსტოკს, გზა და გზა იაპონიის ფლოტის ნაწილიც უნდა ჩავძიროთო“. იაპონიის კრეისერები ამ დროს დაიძალნენ და ნახევარ საათის შემდეგ, ჩვენდა გასაოცებლად, იაპონიის მთელი ფლოტი დაგვეცა მოულოდნელად. სამის საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენი გემები სულ აირ-დაირივნენ და ყველა კაპიტანი ისე იქცეოდა, როგორც ქკუა უჭრიდა“. (ნ. ვ.).

**რუსის ფლოტის ზარალი.** „დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: «ბალტიის ესკადრაზე სულ 21,500 მეზღვაური იყო; ამათგან 12 ათასი ბრძოლის დროს დაიღუპა და ზღვაში დაიხრჩო, შათასამდე მანილასა და ვლადივოსტოკს გაქცეულ გემებზე გადარჩა; დანარჩენი 6,200 კაცი იაპონელებმა დაატყვევეს. ჯერ ასეთი დიდი ზარალი არც ერთს ფლოტს არ მოჰსვლია.

**დალატა.** ყველაზე ძლიერ რუსებს აღმ. ნებოგატოვის ესკადრის დატყვევება სწყინთ და დღემდე ვერ გაუგიათ, რუსის მეზღვაურებმა როგორ ჩაიდინეს ასეთი სამარცხვინო საქმე და გემები რად დაანებეს მტერსაო. საზღვარ-გარედაც ძლიერ უკვირთ რუსის გემების დამორჩილება.

ხმა დადის, ვითომ აღმ. ნებოგატოვის ესკადრის დატყვევება მატროსების ლალატის ბრალიაო. ვლადივოსტოკიდან იუწყებიან: რუსის აფიცრებმა გემები ვერ ჩასძირეს, რადგან სწორედ იმ დროს მატროსები აბუნტდნენ, რუსის ბაირადებს ზემოდან იაპონიის ბაირადები გაშალეს, ყველანი პალუბაზე გამწკრივდნენ და ზოგიერთი მათგანი თეთრ ხელსახოცს იქნევდაო. (რ. ს.)

ზოგიერთი ჰფიქრობს, ეს ლალატი აღმ. როჟესტვენსკის „რკინის დისციპლინამ“ გამოიწვიაო. „კენიგ. ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: ხმა დადის, ჩინეთის ზღვაში როჟესტვენსკიმ, ნებოგატოვის საზივრით, 40 მატროსი ჩამოახრჩოო. ამაზედ ჯავრი მოუვიდათ დანარჩენ მატროსებს და როცა 15 მაისს იაპონიის ფლოტს შეხვდნენ, აღმ. ნებოგატოვი და მისი აფიცრები შეკრეს და დამორჩილების ნიშნად თეთრი ბაირადები გაშალესო. იაპონელები მივიდნენ და ყველანი დაატყვევესო. (ს.).

საფრანგეთის საზღვაო მინისტრად ნამყოფი პელტანი სწერს ერთ გაზეთში: ძლიერ მაოცებს რუსის აღმირალის ქცევა. ამნაირ „რკინის დისციპლინას“ არას დროს არ მოჰყვება კეთილი შედეგითა ვაზარდაცემული მატროსები არას დროს არ ივიწყებენ უფროსების სასტიკობას ღ დესპოტიზმი ვერას დროს ვერ შეჰქმნის გმირებსაო.

**მიზეზი რუსეთის ფლოტის დამარცხებისა.** ლალატის გარდა, კიდევ ბევრ სხვა მიზეზსაც ასახელებენ. აღმ. როჟესტვენსკის გემები და ზარბაზნები არ უვარგოდა, ყუმბარა და ქვა-ნაშხირი აკლდა და



ამიტომ სულ არ შეეძლო იაპონიის ფლოტთან ბრძოლა. ინგლისელი აღმირალი ინგლები არ ეთანხმება ამ აზრს და ამტკიცებს, რომ რუსის ფლოტი ურიგო არ იყო, ეგაა იაპონელი მეზღვაურები მალლა დგანან რუსებზეო: «ცუსიმას ბრძოლამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრძოლის დროს უმთავრესი მნიშვნელობა კაცსა აქვს, კაცი იგებს თუ აგებს ბრძოლას და არა უსულო გემი და ზარბაზანი. ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ აღმ. როჟესტვენსკის გაცილებით მეტი მებრძოლი გემი ჰყავდა და იმის ესკადრას რომ შესაფერისი ხელმძღვანელი ჰყოლოდა და მეზღვაურები უკეთესად დამზადებული, იაპოველებს სულ მცირედ ისეთივე ზარალი უნდა მოჰსვლოდათ, როგორც რუსებს მოუვიდათ; ნამდვილად-კი ბრძოლამ არა თუ არ დაასუსტა იაპონიის ფლოტი, პირიქით უფროც გააძლიერა. იაპონელი მეზღვაურები ძლიერ კარგად არიან მომზადებულნი და ზღვაზე ისე ჰგრძნობენ თავსა, როგორც საკუთარ სახლში. აღმ. როჟესტვენსკი დაიჭრა თუ არა, რუსის ესკადრა მაშინვე აირ-დაირა, იაპონელებზე კი ასეთი ამბავი არავითარ გავლენას არ იქონიებდა. 28 ივლისს ყუმბარამ გემ „მიკაზა“-ზე აღმ. ტოგოს ხილი მოჰგლიჯა, მაგრამ იაპონელები მაინც წინაღობებურად განაგრძობდნენ ბრძოლასაო».

სამხედრო მიმომხილველები ერთხმად აღიარებენ, რომ ცუსიმასთან რუსის ფლოტის განადგურება რუსეთის სახელმწიფო წესწყობილების ბრალია და სანამ რუსეთი რეფორმებს არ მოახდენს, არც ფლოტი ევარგება, არც ჯარიო. რიგიან ფლოტისა და ჯარის ყოლა მხოლოდ თავისუფალ განათლებულ სახელმწიფოს შეუძლიანო. (ო. ნ.)

**აღმ. ტოგოსა და როჟესტვენსკის ჯამაგარი.**  
 „ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: აღმ. ტოგო წელიწადში 5,600 მანეთს იღებს ჯამაგირად, აღმ. როჟესტვენსკი—108,000 მანეთსაო. (ო. ნ.).

სამაგიეროდ იაპონელ მატროსს საშუალოდ თითქმის სამჯერ მეტი ჯამაგირი ეძლევა, ვიდრე რუსის მატროსს. თითო იაპონელ მატროსის შესანახად წელიწადში 56 მანეთს ჰხარჯავენ, რუსის მატროსის შესანახად-კი მხოლოდ—24 მანეთს, თუმცა იაპონიაში ცხოვრება ერთი ორად იაფია, ვიდრე რუსეთში. (რ. ვ.).

\*\*\*  
 «ცნობის ფურცელში» ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ საყურადღებო ამბავს:

„ბიუროკრატის უყვარს ასეთი სამღვდლოება, ბიუროკრატია აწინაურებს და აჯილდოებს მის ყურმოჭრილს მონას—ეკლესიას, რომელიც მხოლოდ მისი იარაღია, მისი აზრების და ბატონობის განამტკიცებელია. ბიუროკრატია პატივსა სცემს ეკლესიას, არა როგორც ეკლესიას, არა როგორც სარწმუნოებას (ბიუროკრატისათვის არსებობს სხვა სარწმუნოება გარდა ძალმომრეობისა?) არამედ ეკლესიას აღიარებს და სცნობს იმდენად, რამდენად ეკლესია არის ბიუროკრატიული დაწესებულება, არის ბიუროკრატის კანცელარიის განყოფილება! განა სკოლა, მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერებე —ყველაფერი თავის ბატონობის იარაღად არ უნდა გაიხადოს ბიუროკრატამ? ბიუროკრატის არაფერი სწამს გარდა თავის ძალმომრეობისა და განა შეურიგდება, თუ სადმე სხვა ძალა დაინახა?..

ამიტომაც მოინდომა ბიუროკრატამ ყველა უნივერსიტეტების ღ სასწავლებლების პროფესორების და მასწავლებელთა დათხოვნა, რაკი უკანასკნელნი არ დამორჩილდნენ მას. ამიტომაც მიიღო სასტიკი ზომები პეტერბურგელ მღვდლების წინააღმდეგ, რომლებმაც საკუთარი ხმა ამოიღეს და მოინდომეს ბიუროკრატის კლანჭებისაგან განთავისუფლება. ამიტომაც დაატყდათ უბედურება ჩვენ მღვდლებსაც. მაგრამ რაც ქართლ-კახეთის მღვდლებს მოუვიდათ, ის აღემატება ყველაფერს. ამისთანა მაგალითი მეორე არ ყოფილა...

კომისია დანიშნეს ყველაფრის გამოსაძიებლად. რას მოიტანს ეს კომისია? რას მოიტანს ისეოს, რაც ჩვენ უკვე არ ვიცით...

თვენახევარი ძლივს შესრულდა, რაც გამოცხადდა კანონი სარწმუნოების თავისუფლებისა და მართლმადიდებელნი ქართველი მღვდელნი რომ შეიკრიბნენ თავის სარწმუნოების, თავის ეკლესიის საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად, ეს ამბოხებად მიიღეს და გაამათრახეს.

ქართლ-კახეთის მღვდლები შეიკრიბნენ სარწმუნოების, ეკლესიის საქმისთვის, მაგრამ ახლა მათი ინტერესი გაფართოვდა და მღვდლებმა უნდა ილაპარაკონ, როგორც მოქალაქეებმა საზოგადოდ ადამიანის თავისუფლების, ადამიანის პიროვნების შესახებ. ძალმომრეობამ შეუერთა ისინი ხალხს და ახლა მათი მოვალეობაა, როგორ ისარგებლებდნენ ამ გარემოებით, როგორ დაეხმარებიან საერთო საქმეს..

# ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* 31 მაისს ტფილისში მოხდა ქართლ-კახეთის ეპარქიის ბლალოჩინთა კრება. კრებამ დაადგინა, მოსპონ ბლალოჩინებმა ბლალოჩინის მოვალეობის აღსრულება იმ დრომდე, ვიდრე არ გამოარკვევენ და შესაფერად არ დასჯიან იმათ, ვინც 31 მაისის ამბავი გამოიწვია. ეს თავის დადგენილება ბლალოჩინებმა აცნობეს საქართველოს ექსარხოსს. ქართლ-კახეთის სამღვდლოებს შეუერთდნენ ერევნისა, ბაქოსა და განჯის საბლალოჩინო ოლქების ბლალოჩინები.

\* \* 3 ივნისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს წარმომადგენელი, მოურავის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ხმოსნები თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლოგორუკოვი, ს. თ. ჭრელაშვილი და ა. ს. ბაზოვი ქართლ-კახეთის სამღვდლოების კრებაზე იყვნენ და თვით-მართველობის მხრივ მწუხარება გამოუცხადეს 31 მაისის ინციდენტის გამო.

\* \* იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელმაც 31 მაისს სამღვდლოების კრებაზე მომხდარი ინციდენტი უნდა გამოარკვიოს, ნამესტნიკის მიერ დანიშნულ იქნა გენერალი სტახოვიჩი ამ კომისიაში თავად-აზნაურთა წარმომადგენლად იქნება გუბერნიის მარშლის მოადგილე თავ. ა. ი. ჯამბაკური-ორბელიანი, სამღვდლოების წარმომადგენლად — კრების თავმჯდომარე ბლალ. მღვდელი ქრისტეფორე კიცკიშვილი. კომისიის მდიუნად დანიშნა ალ. ყაჩელი. კომისია შეუდგა გამოძიებას და უკვე გამოჰკითხა ნაცემ მღვდლებს. როგორც შევიტყვეთ ბევრი ნაცემი მღვდელი გაპარულა შინ სარცხვილისა გამო...

\* \* ქართლ-კახეთის სამღვდლოებამ 3 ივნისს, თათბირი იქონია იმის შესახებ, დარჩეს თბილისში თუ არა მთელი სამღვდლოება იმ დრომდე, ვიდრე ნამესტნიკის მიერ დანიშნული კომისია საქმეს დაასრულებს. კარგა ხანს კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა. აირჩიოს სოფლის სამღვდლოებისაგან 15 კაცი, რომელთაც ტფილისის სამღვდლოებასთან ერთად ევალებათ თვალ-ყური ადევნონ გამოძიების საქმეს, მიაწოდონ საჭირო მასალა გამოძიებელთა სხვა. როდესაც გამოცხადდება განაჩენი, ამ არული უნდა აცნობონ უოველივე დანარჩენ სამღვ-

დლოებს. სამღვდლოებამ აგრეთვე დაადგინა, შეატყობინოს დასავლეთ საქართველოს სამღვდლოებს კრების 28, 29 და 30 მაისის დადგენილებანი და აგრეთვე ცნობები მომხდარ ინციდენტის გამო.

\* \* იმერეთის ეპარქიის სასრლიერო მთავრობამ გამოაცხადა, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პალალელური და მოსამზადებელი კლასების შენახვა დაეკისრა იმ შეგირდებს, რომელნიც მათში დარჩებიან სწავლის განსაგრძობად. ამისათვის სექდემბრიდან ამ კლასებში იქნებიან მიღებული მხოლოდ ისინი ვინც სწავლის უფლებისათვის ფულებს გარდაიხდის.

უწესოთ დადგენილება უწესოთ გათავდება. ესე მოხდა ამ შემთხვევაშიაც. მე, ვსთქვათ, მღვდელი სასწავლებლის შესანახავად ვიხდი ორმოც მანეთს და პარალელური კლასის შესანახავად კიდევ ცალკე უნდა გადავიხადო!..

\* \* იმერეთის ეპარქიის გაბრიელის სასწავლებლის საბჭო აცხადებს საყოველთაოდ, რომ გადასაყვანი ეკზამენები ერთი კლასიდან მეორეში დაიწყება 16 აგვისტოდან და გაგრძელდება ექვს სექტემბრამდე. ვინც სხვა ეპარქიიდან და ერის კაცთაგან, წოდების არიან არ იქნებიან გამოცდაზე მიშვებულნი თუ სწავლის უფლებისათვის ფულები არ წარმოადგინეს.

\* \* ახალ ებისკოპოსის სერაფიმეს ნებართვით 5 ივნისს სოხუმელმა ქართველებმა თუთხმეტის წლის აღკრძალვის შემდეგ პირველად მოისმინეს წირვა ქართულ ენაზედ. ეკლესიას იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ ერთი ნაწილიც ძლივს დაიტია.

\* \* ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორამ ბლ. დეკანოზს მარკოზ ტყემალაძეს, როგორც ბლალოჩინს, საქმეები მიანდო აღსასრულებლად, მაგრამ მან არ მიიღო. ბლალოჩინობაზე უარი განვაცხადე და ჩემს თავს გადამდგარად ვთვლიო.

\* \* თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ 6 ივნისის საგანგებო კრებაზე დაადგინა: 31 მაისს მომხდარ ინციდენტის გამო ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდლოებს თანაგრძნობის აღრესი გაუგზავნოს.

\* \* 31 მაისს მომხდარ ინციდენტისა გამო ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობის დაწესებულებათა მოხელე-მოსამსახურებმა ხელმოწერილი აღრესი წარუდგინეს ქართლ-კახეთის სამღვდლოების წარმომადგენელთ.



\* \* თფილისის გუბერნატორად ინიშნება გენერალ-მაიორი ბარონ რაუშა ფონ-ტრაუნბერგბერგი

\* \* გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნამყოფი დიმიტრი დანიშნა ბალტის ვიკარათ, ხოლო დეკ. ვოსტორგოვი — სარატოვის ეპისკოპოსის განკარგულებაში.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი იღებდა ჯამაგირს 3500 მან. და სასახლის შესანახავად კიდევ ათას ორას მანეთს, მასთან ითვლებოდა დამოუკიდებელ ეპისკოპოსად. ბალტის ვიკარს აქვს დანიშნული თვეში ჯამაგირად 50 მანეთი და წელიწადში 600 მან. დიდი განსხვავებაა...

რაიცა შეეხება ვოსტორგოვის დანიშვნის ის სულ სხვა არის. გაზეთებში ხან იწერებოდა აისორების ქვეყანაში მისიონერთა დანიშნაო, ხან იწერებოდნენ რომ საბერძნეთში იგზავნებო, ალბად სარწმუნოების განსამტკიცებლად. ეხლა იწერებოდა გაზეთში, რომ სარატოვის ეპარხიაში იგზავნებო და ეპისკოპოზის განკარგულებაში იქნებო. საქართველოში მყოფობის დროს კი ყველა სასულიერო მთავრობის პირები და დაწესებულებანი მამა ვოსტორგოვის განკარგულებაში იყო. რამდენი ხანია დეკ. ვოსტორგოვი კეთილ იწება წაბძანება საქართველოდან, მაგრამ იგი ჩუქნშივე ინიშნება მრავალ თანამდებობებზე და რედაქტორად და ალბად ჯამაგირსაც იღებს ხოლმე აქედან!.. ეს ხომ ადვილი მოსახერხებელია დღეს!..

\* \* „რუს. ს.“-ში ვკითხულობთ: 7 ივნისს მისიონერის კრიუჩკოვის თანადასწრებით მოხდა „სტაროვერების“ დისპუტი. დისპუტს არეულობა მოჰყვა. ეკლესიიდან ხალხი დაითხოვეს. სტაროვერები საკურთხეველში დაიმაღნენ. ეკლესიასთან დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი და მოსთხოვა ადმინისტრაციას, სტაროვერები ხელში მოგვეციოთ გასასამართლებლად. გუბერნატორის ჩარევამაც უნაყოფოდ ჩაიარა. ღამის ათ საათზედ სალდათებმა სროლა დაიწყეს. 14 კაცი მოჰკლეს 6 ორმოცამდე დასჭრეს. მალაზიები დაკეტილია.

მისიონერი კრიუჩკოვი წინეთ იყო სექტანტების პირველი მოთავე და მისიონერებს მისგან ყველგან საქმე ჰქონდა გაქირვებული. დისპუტებზე თითქმის

იმარჯვებდა ხოლმე. ბოლოს მოხდა ისე, რომ შემოერთეს და მართლმადიდებელი აღსარების მისიონერი შეიქმნა. დეკანოზობის ხარისხზე აღიყვანეს და ეხლა პირველი მისიონერია...

სწორეთ კარგად შეუგნათ სარწმუნოების თავისუფლება ამ ხალხს!..

### შეწირულება.

მამაო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი ჟურნალის „მწყემსი“-ს საშვალეებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ როგორც ჩემი მხრიდან ეგრეთვე მთელი ჩემი მრევლის მღვიმის წმინდა ბარბარის ეკლესიის შემოვალთაგან — გლესს დარისპან დიმიტრის ძეს დუღუნისვილს, რომელმაც შემოსწირა ხსენებულ ეკლესიას ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი თავის გაწყობილობით ღირებული 100 მანეთად თავის ძმის სიკო დუღუნისვილის სულის საოხად და ერთი წყვილი ბაირალი ღირებული 35 მ. თავის სადღეგრძელოდ; სტაროსტა ლუარსაბ გაფრინდაშვილს სადღესასწაულოს შემოწირვისათვის და სტაროსტას მეუღლეს ანუსიას და ისაია ფარსადანისძეს გაფრინდაშვილს — რომელთაც შემოსწირეს სამ სამი მანეთი ეკლესიის ნივთების მოსაპოვებლად; გლესს ელიზბარ გაფრინდაშვილს, რომელმაც შემოსწირა ზედ-მიწერილ წმ. გიორგის ეკლესიას სადღესასწაულო ღირ. 8 მან. გლ. საჩინო ჩუბინიძეს, რომელმაც შემოსწირა ერთი კანდელი — სამ მანეთად ღირებული.

მღ. ჯეკნტი იაკობაშვილი.

### უ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: საქართველოს ეკლესია და სამღვდლოება უწინ და ეხლა. — მოძღვართა კრებები საქუეთესო ფორმაა სამღვდლოების ურთიერთობისა, მღ. ს. მაჭარაშვილის. — ორდინარნი პროფესორის თ. ტრუბეცკოის სიტყვა, რომელიც მოახსენა მან ხელმწიფე იმპერატორს აუღენციკაზე 6 ივნისს. — თბილისის ქალაქის საბჭოს მოხსენება. — უჯამაგრო სოფლის სამღვდლოება, მღ. ბესარიონ ვაშაძის. — ქართლ-კახეთის სამღვდლოების კრების დროს მომხდარ ინციდენტის გამო, 31 მაისს თფილისში, დეკ. დამაბაშიძის. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები. — შეწირულება.